საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-04/13

ქ. ბათუმი 21 თებერვალი 2022 წ.

2022 წლის თებერვალში ჩატარებული ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ,,აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების თაობაზე” ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N07 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, „აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის - მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის რაულ გოცირიძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N01-04/12 ბრძანების, „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 21 იანვრის N01-02/11 ბრძანების, 2022 წლის 14 თებერვლის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს N30-05/03 სხდომის ოქმისა და აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის ნ. მხეიძის სამსახურებრივი ბარათის (MES 2 22 0000154337 16.02.2022 წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 21 იანვრის N01-02/11 ბრძანების შესაბამისად გამოცხადებული და ჩატარებული კონკურსის შედეგად აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის მიერ ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატის დამტკიცების საფუძველზე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი რაულ გოცირიძე დაინიშნოს აგრარული და მემბრანული

ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

2. რაულ გოცირიძესთან გაფორმდეს ხელშეკრულება 2022 წლის 21 თებერვლიდან 5 წლის ვადით (2026 წლის 21 თებერვლამდე).

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურსა (კანცელარია) და რაულ გოცირიძეს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში